



2022

შპს “ფარმაცევტული სახლი +” და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და

ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძვლები	8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	19
6. ძირითადი საშუალებები	21
7. მარაგები	22
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
9. გაცემული სესხები	23
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
11. საწესდებო კაპიტალი	23
12. სესხები	24
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
14. სახელმეკრულებლო ვალდებულება	24
15. ამონაგები	25
16. რეალიზაციის თვითღირებულება	25
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	25
18. არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	25
19. არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	26
20. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	26
21. ფინანსური რისკის მართვა	26
22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	29
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29

მმართველობის ანგარიშგება

30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარმაცევტული სახლი +“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ფარმაცევტული სახლი +“-ისა და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2016 წლის იანვარში ფასს-მა გამოსცა ფასს 16-ის „იჯარა“- საბოლოო ვარიანტი რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“: აღიარება და შეფასება“ 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რომლის მიხედვითაც: საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა იჯარასთან, მათ შორის ქვეიჯარის ფარგლებში აქტივების გამოყენების უფლების იჯარასთან მიმართებით.

ჯგუფის საადრიცხვო პოლიტიკის მიხედვით არ მოუზღუდა ფასს 16-ზე გადასვლა, და იჯარების ადრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ბასს 17-ი სტანდარტის მიხედვით. ახალი ფასს 16-ის სტანდარტის დანერგვა გამოიწვევდა საგრძნობ ცვლილებებს ფინანსური მდგომარეობის, წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, ასევე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, მათ შორის საწყის ნაშთებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,132,862 ლარი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამავე თარიღისათვის ჯგუფს ჰქონდა 6,885,986 ლარის უარყოფითი კაპიტალი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბაღებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ რომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება

შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თადლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღევატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვდენილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ოთარ ახობაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა ალტერ ეგო (SARAS-F-564427)

24 დეკემბერი 2023 წელი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარმაცევტული სახლი +“

დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ფარმაცევტული სახლი +“-ისა და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის

კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2016 წლის იანვარში ფასს-მა გამოსცა ფასს 16-ის „იჯარა“ - საბოლოო ვარიანტი რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 - „იჯარა“: აღიარება და შეფასება“ 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რომლის მიხედვითაც: საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა იჯარასთან, მათ შორის ქვეიჯარის ფარგლებში აქტივების გამოყენების უფლების იჯარასთან მიმართებით.

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით არ მოუხდენია ფასს 16-ზე გადასვლა, და იჯარების აღრიცხვას ჯგუფი აწარმოებს ბასს 17-ი სტანდარტის მიხედვით. ახალი ფასს 16-ის სტანდარტის დანერგვა გამოიწვევდა საგრძნობ ცვლილებებს ფინანსური მდგომარეობის, წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, ასევე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლებისთვის, მათ შორის საწყის ნაშთებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 3,132,862 ლარი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის და ამავე თარიღისათვის ჯგუფს ჰქონდა 6,885,986 ლარის უარყოფითი კაპიტალი. როგორც მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში,

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი

მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასთან;

- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ოთარ ახოზაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა ალტერ ეგო (SARAS-F-564427)

25 დეკემბერი 2023 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,261,075	2,223,866
არამატერიალური აქტივები		26,620	32,851
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,287,695	2,256,717
მიმდინარე აქტივები			
ფულის და ფულის ეკვივალენტები	10	446,711	400,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	8,414,094	6,958,815
მარაგები	7	22,916,817	16,941,346
გადახდილი ავანსები		7,360,656	5,648,557
გაცემული სესხები	9	6,504,513	6,066,991
სულ მიმდინარე აქტივები		45,642,791	36,016,492
სულ აქტივები		48,930,486	38,273,209
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	200	200
დაგროვებული ზარალი		(6,885,986)	(3,519,515)
არამაკონტროლირებული წილი		859,432	625,823
სულ კაპიტალი		(6,026,354)	(2,893,492)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	13,737,711	9,297,026
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,737,711	9,297,026
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	12	3,843,293	3,566,569
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	36,114,172	27,325,229
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		120,580	31,972
სახელმეკრულებლო ვალდებულება	14	1,141,084	945,905
სულ მიმდინარე ვალდებულებები		41,219,129	31,869,675
სულ ვალდებულებები		54,956,840	41,166,701
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		48,930,486	38,273,209

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულაია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	3,261,075	2,223,866
არამატერიალური აქტივები		26,620	32,851
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,287,695	2,256,717
მიმდინარე აქტივები			
ფულის და ფულის ეკვივალენტები	10	446,711	400,783
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	8,414,094	6,958,815
მარაგები	7	22,916,817	16,941,346
გადახდილი ავანსები		7,360,656	5,648,557
გაცემული სესხები	9	6,504,513	6,066,991
სულ მიმდინარე აქტივები		45,642,791	36,016,492
სულ აქტივები		48,930,486	38,273,209
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	200	200
დაგროვებული ზარალი		(6,885,986)	(3,519,515)
არამაკონტროლირებული წილი		859,432	625,823
სულ კაპიტალი		(6,026,354)	(2,893,492)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	13,737,711	9,297,026
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,737,711	9,297,026
მიმდინარე ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	12	3,843,293	3,566,569
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	36,114,172	27,325,229
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		120,580	31,972
სახელმძღვრეულობა ვალდებულება	14	1,141,084	945,905
სულ მიმდინარე ვალდებულებები		41,219,129	31,869,675
სულ ვალდებულებები		54,956,840	41,166,701
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		48,930,486	38,273,209

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულაია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	15	65,462,902	54,692,771
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(53,078,121)	(46,934,645)
საერთო მოგება		12,384,781	7,758,126
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(14,019,923)	(11,035,275)
საოპერაციო ზარალი		(1,635,142)	(3,277,149)
მარკეტინგული დანახარჯები		(1,686,237)	(829,620)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,451,352)	(1,379,051)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	20	1,225,822	1,008,220
არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	18	1,837,288	3,462,584
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	19	(1,421,658)	(605,017)
ზარალი დაბეგრამდე		(3,131,279)	(1,620,033)
მოგების გადასახადი		(1,583)	(963)
წლის წმინდა ზარალი		(3,132,862)	(1,620,996)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი		(3,132,862)	(1,620,996)
ჯგუფის წილი		(3,402,081)	(1,800,204)
არამაკონტროლირებული წილი		269,219	179,208

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულაძე


ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი


შპს „ფარმაცევტული სახლი +“
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	15	65,462,902	54,692,771
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(53,078,121)	(46,934,645)
საერთო მოგება		12,384,781	7,758,126
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(14,019,923)	(11,035,275)
საოპერაციო ზარალი		(1,635,142)	(3,277,149)
მარკეტინგული დანახარჯები		(1,686,237)	(829,620)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,451,352)	(1,379,051)
მოგება საკუროს სხვაობიდან, წმინდა	20	1,225,822	1,008,220
არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	18	1,837,288	3,462,584
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	19	(1,421,658)	(605,017)
ზარალი დაბეგვრამდე		(3,131,279)	(1,620,033)
მოგების გადასახადი		(1,583)	(963)
წლის წმინდა ზარალი		(3,132,862)	(1,620,996)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული ზარალი		(3,132,862)	(1,620,996)
ჯგუფის წილი		(3,402,081)	(1,800,204)
არამაკონტროლირებული წილი		269,219	179,208

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 დირექტორი

იონა ქობულაძე


 ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი (გადაანგარიშებული)
31 დეკემბერი 2020	11	200	(1,272,695)	(1,272,495)
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(1,800,204)	(1,800,204)
არამაკონტროლებელი წილი			179,208	179,208
31 დეკემბერი 2021	11	200	(2,893,691)	(2,893,491)
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(3,402,081)	(3,402,081)
არამაკონტროლებელი წილი			269,219	269,219
31 დეკემბერი 2022	11	200	(6,026,553)	(6,026,353)

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი (გადაანგარიშებული)
31 დეკემბერი 2020	11	200	(1,272,695)	(1,272,495)
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(1,800,204)	(1,800,204)
არამაკონტროლირებული წილი			179,208	179,208
31 დეკემბერი 2021	11	200	(2,893,691)	(2,893,491)
წლის მთლიანი სრული ზარალი		-	(3,402,081)	(3,402,081)
არამაკონტროლირებული წილი			269,219	269,219
31 დეკემბერი 2022	11	200	(6,026,553)	(6,026,353)

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საოპერაციო საქმიანობა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
წმინდა ფულადი სახსრები საბითუმო რეალიზაციიდან	11,541,791	10,282,470
წმინდა ფულადი სახსრები საცალო რეალიზაციიდან	26,176,492	21,458,917
ფულადი შემოსავლი საქონლის ზედმეტობისგან	5,081	3,173
სხვა ფულადი შემოსავლები	8,280	1,446
გადახდილი კრედიტორული დავალიანებები	(26,434,618)	(14,575,873)
გადახდილი იჯარები	(4,729,141)	(3,269,487)
გადახდილი ხელფასები	(4,964,367)	(4,336,234)
გადახდილი სადაზღვეო ვალდებულებები	(126,747)	(114,701)
გადახდილი გადასახადები	(2,614,381)	(2,101,861)
გადახდილი კომუნალური ხარჯი	(475,760)	(285,929)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(212,828)	(150,566)
გადახდილი სხვა ხარჯები	(1,349,145)	(915,599)
საოპერაციო საქმიანობიდან (გაცემული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,175,343)	5,995,756
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(433,419)	(483,560)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(1,174)
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,094,617)	(529,867)
გაცემული სესხი	(20,547)	(402,773)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,548,583)	(1,417,374)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	4,683,389	-
მიღებული სესხის დაფარვა	-	(5,558,271)
ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	4,683,389	(5,558,271)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების კლება	(40,537)	(979,889)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	353,184	1,345,808
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	25,053	(12,735)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	337,700	353,184

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულაია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საოპერაციო საქმიანობა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
წმინდა ფულადი სახსრები საბითუმო რეალიზაციიდან	11,541,791	10,282,470
წმინდა ფულადი სახსრები საცალო რეალიზაციიდან	26,176,492	21,458,917
ფულადი შემოსავლი საქონლის ზედმეტობისგან	5,081	3,173
სხვა ფულადი შემოსავლები	8,280	1,446
გადახდილი კრედიტორული დავალიანებები	(26,434,618)	(14,575,873)
გადახდილი იჯარები	(4,729,141)	(3,269,487)
გადახდილი ხელფასები	(4,964,367)	(4,336,234)
გადახდილი სადაზღვეო ვალდებულებები	(126,747)	(114,701)
გადახდილი გადასახადები	(2,614,381)	(2,101,861)
გადახდილი კომუნალური ხარჯი	(475,760)	(285,929)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(212,828)	(150,566)
გადახდილი სხვა ხარჯები	(1,349,145)	(915,599)
საოპერაციო საქმიანობიდან (გაცემული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,175,343)	5,995,756
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	(433,419)	(483,560)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(1,174)
სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,094,617)	(529,867)
გაცემული სესხი	(20,547)	(402,773)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,548,583)	(1,417,374)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	4,683,389	-
მიღებული სესხის დაფარვა	-	(5,558,271)
ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	4,683,389	(5,558,271)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების კლება	(40,537)	(979,889)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	353,184	1,345,808
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	25,053	(12,735)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	337,700	353,184

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2023 წლის 25 დეკემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

იონა ქობულაია

ფინანსური დირექტორი

ნინო ბიბილაშვილი

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ფარმაცევტული სახლი +“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2007 წლის 26 მარტს, როგორც მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205199033. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი #49ბ, თბილისი, საქართველო.

კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს იონა ქობულაია.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს ავტოგრაფი	90%	90%
ფიზიკური პირი: ნიკოლოზ შარიქაძე	10%	10%

2015 წლის 9 მარტს კომპანიამ დააფუძნა შპს ბიუთი ჰაბი, ამ კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის IV ბ მ/რ კორპ. N:43. ბ. N:47. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 70%-წილის მფლობელი არის შპს „ფარმაცევტული სახლი +“.

შესაბამისად კომპანია ფლობს შპს „ბიუთი ჰაბ-ს“ 70%-იან წილს და ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის მედიკამენტების და ჰიგიენური პროდუქტების რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მე-3 შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს ჯგუფის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა - 3,132,862 ლარი. ამავე თარიღისათვის ჯგუფს ჰქონდა 6,885,986 ლარის უარყოფითი კაპიტალი. აღნიშნული მოვლენების მიუხედავად, ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში. აღნიშნული შეფასების განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები: 1) ჯგუფის შემოსავალი ბიუჯეტირებულ მაჩვენებლებთან შესაბამისობა 2) ამონაგების წლიდან წლამდე ზღვრულ ფარგლებში ზრდა/კლება, რაც კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს; 3) მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა, დადებითი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან და წვდომა ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე, და 4) გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანი(ებ)ის ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ბასს 1-ში და ფასს -ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესაძლებელ შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ჯგუფს იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შესაძლებელს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ ძირითადი საშუალების უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსაამკარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა, ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებების ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცველი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულების ინდიკატორად, გამოიყენება ის თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შეძენის ან შექმნის მომენტში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალის)“ სახით.

ცვთა

ცვთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ჯგუფის სადრიცხო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ტექნიკური აღჭურვილობა	5
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სარეკლამო კონსტრუქციები	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა აქტივები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სადრიცხო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სადრიცხო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სადრიცხო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების

გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე აღრე არ შეწყვეტს იჯარას.

ჯგუფის მიერ მიღებული იჯარა კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით იმ შემთხვევაში თუ სხვა სისტემატური საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას).

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დავიანების გარეშე გადახდის სახელმეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელმეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოღებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელმეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

3. საღრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის,

რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად.

შესაბამისად ჯგუფი არ აღევენებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360	>360 დღე
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 8-ე შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრუდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯებისა და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება.

თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს.

ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე.

3. სადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მექანე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მექანე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგების გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გამამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტილად ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სადრიცხო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს. ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფმა, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ ელემენტების კორექტირება და რეკლასიფიცირება. კორექტირებებმა და რეკლასიფიცირებამ შემდეგი გავლენა იქონია ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და ამავე წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი 2021	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება/რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,265,337	306,522	6,958,815
გაცემული სესხები	6,066,661	(330)	6,066,991
დაგროვებული ზარალი	(3,179,577)	339,938	(3,519,515)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,327,023	1,794	27,325,229
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	-	(31,972)	31,972

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე გავლენა

2021	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება/რეკლასიფიკა ცია	კორექტირებული თანხა
ამონაგები	53,335,900	(1,356,871)	54,692,771
რეალიზაციის თვითღირებულება	(46,344,061)	590,584	(46,934,645)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,940,733)	94,542	(11,035,275)
მარკეტინგული დანახარჯები	(600,808)	228,812	(829,620)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(1,366,419)	12,632	(1,379,051)
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	992,245	(15,975)	1,008,220
არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	3,471,385	8,801	3,462,584
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	-	605,017	(605,017)

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სარეკლამო კონსტრუქციები	ტექნიკური აღჭურვილობა	სხვა აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება								
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,156,869	205,890	395,715	377,112	356,215	62,161	770,847	3,324,809
შეძენები	1,291,581	148,448	69,553	136,432	50,426	-	100,707	1,797,147
კაპიტალიზაცია	(771,571)	(5,920)	-	-	-	-	-	(777,491)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,676,879	348,418	465,268	513,544	406,641	62,161	871,554	4,344,465
შეძენები	1,644,614	12,084	558,080	119,917	88,003	5,424	276,237	2,704,359
კაპიტალიზაცია	(974,194)	(17,416)	-	-	-	-	-	(991,610)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,347,299	343,086	1,023,348	633,461	494,644	67,585	1,147,791	6,057,214
დაგროვილი ცვეთა								
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(316,278)	(145,859)	(198,873)	(178,234)	(209,741)	(53,023)	(502,694)	(1,604,702)
წლის ცვეთის დარიცხვა	(193,507)	(44,549)	(59,880)	(73,652)	(46,456)	(2,180)	(96,857)	(517,081)
გასვლის ცვეთის ამობრუნება	-	-	-	1,184	-	-	-	1,184
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(509,785)	(190,408)	(258,753)	(250,702)	(256,197)	(55,203)	(599,551)	(2,120,599)
წლის ცვეთის დარიცხვა	(295,784)	(43,951)	(93,474)	(83,756)	(51,715)	(1,699)	(110,912)	(681,291)
გასვლის ცვეთის ამობრუნება	-	5,751	-	-	-	-	-	5,751
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(805,569)	(228,608)	(352,227)	(334,458)	(307,912)	(56,902)	(710,463)	(2,796,139)
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,167,094	158,010	206,515	262,842	150,444	6,958	272,003	2,223,866
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,541,730	114,478	671,121	299,003	186,732	10,683	437,328	3,261,075

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბერს) ჯგუფს არ ჰქონია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები. ასევე, 2022 წელსა და 2021 წლის ბოლოს ჯგუფის ძირითადი საშუალებები არ წარმოადგენდნენ სესხების უზრუნველყოფის საგანს.

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფარმაცევტული პროდუქცია	18,012,129	12,915,038
ჰიგიენური პროდუქცია	2,305,749	1,342,234
დეკორატიული კოსმეტიკა	1,455,490	2,197,768
საბავშვო პროდუქცია	814,018	352,490
სხვა სარეალიზაციო საქონელი	144,571	14,729
სამედიცინო ტექნიკა	106,206	107,042
სამედიცინო რობოტის სათადარიგო ნაწილები	63,338	-
საწვავი	15,316	12,045
სულ მარაგები	22,916,817	16,941,346

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,043,388	6,825,616
მოთხოვნები ორგანიზაციების მიმართ	437,526	437,526
შემცირებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხები	(1,067,100)	(304,327)
სხვა მოთხოვნები	280	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,414,094	6,958,815

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვალუტების მიხედვით გაშლა იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრისთვის	304,327	-
წლის დარიცხვა	762,773	304,327
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	1,067,100	304,327

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

ჯგუფის პოლიტიკა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესახებ და გამოყენებული მატრიცა მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 21-ე შენიშვნაში.

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
შპს ავტოგრაფი	24-ოქტ-2019	24-ოქტ-2024	7-11%	დოლარი	6,473,140	6,056,277
შპს ავალენუი	12-ივნ-2020	30-დეკ-2020	11.00%	ლარი	10,714	10,714
შპს გამა	29-დეკ-2022	29-დეკ-2027	11.00%	ლარი	20,659	-
სულ					6,504,513	6,066,991
ძირი					5,425,662	5,267,880
პროცენტი					1,078,851	799,111
სულ:					6,504,513	6,066,991

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული სალაროში	277,595	219,462
* ფული გზაში	109,011	47,599
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	56,277	129,174
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	3,828	4,548
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	446,711	400,783

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც უმნიშვნელო რისკის მქონე. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა რეიტინგი 2022 წლის 31 დეკემბრით იყო: BB- (2021 წლის 31 დეკემბრით: BB-).

* ფული გზაში შედგება მყიდველების მიერ საბანკო ტერმინალით გადახდილი ფულადი სახსრებისგან, რომელიც არის სწრაფად ლიკვიდური მოთხოვნები და რამდენიმე დღეში (1-3 დღე) ხდება მათი ჯგუფის ანგარიშზე ასახვა.

ფული და ფულადი ეკვივალენტების გამლა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

11. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200 ლარს. 2022 და 2021 წლის განმავლობაში ჯგუფს არ გამოუცხადებია და არ გაუცია დივიდენდი.

ჯგუფის გასანაწილებელი დივიდენდი იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით). 2022 და 2021 წლებში ჯგუფს არ აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

12. სესხები

სესხები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო სესხები	7,499,440	3,809,357
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	4,017,475	2,301,583
სხვა სესხები	6,064,089	6,252,655
სულ:	17,581,004	12,363,595
ძირი	15,964,510	12,141,233
პროცენტი	1,616,494	722,362
სულ:	17,581,004	12,863,595

ჯგუფს სესხები აღებული აქვს, როგორც საბანკო და სხვა საფინანსო დაწესებულებებიდან, ასევე დაკავშირებული მხარეებისგან საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7 დან 12 პროცენტამდე, სესხები აღებულია როგორც ლარში ასევე დოლარსა და ევროში.

ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 21-ე შენიშვნაში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	35,277,517	26,704,355
საიჯარო ვალდებულებები	706,025	578,551
გადასახდელი ხელფასები	90,713	27,258
სადაზღვევო ვალდებულებები	32,417	15,065
სხვა ვალდებულებები	7,500	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,114,172	27,325,229

საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდია 60 დღე (2022: 50 დღე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. ჯგუფს აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა ვალდებულება გადახდილი იქნება საკრედიტო დროის ჩარჩოში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გამლა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-21 შენიშვნაში.

14. სახელშეკრულებლო ვალდებულება

მომხმარებელთა წახალისების პროგრამა, „სკა ბარათი“ არის ჯგუფის უნივერსალური დაგროვების და ფასდაკლების ბარათი, რაზეც გროვდება თანხა ყოველ შენაძენზე. დაგროვილი თანხით შესაძლებელია ნებისმიერი პროდუქციის შეძენა აფთიაქში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ თანხა საკმარისი არ არის შესაძლებელია თანხის დამატება.

„სკა ბარათის“ რეგისტრაციის დროს ხდება მომხმარებლის მონაცემების შეყვანა-გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი. ის აღირიცხება, როგორც გადავადებული შემოსავალი (ვალდებულება). 2022 წლის 31 დეკემბერს სახელშეკრულებლო ვალდებულებებმა შეადგინა 1,141,084 ლარი, ხოლო 2021 წელს - 945,905 ლარი შესაბამისად.

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

15. ამონაგები

ამონაგები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ამონაგები საბითუმო რეალიზაციიდან	40,196,639	33,676,874
ამონაგები საცალო რეალიზაციიდან	24,601,975	20,226,100
ამონაგები ექსპორტიდან	539,655	1,087,668
ამონაგები მომსახურებიდან	502,694	142,297
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(412,557)	(440,938)
სხვა შემოსავალი	34,496	770
სულ ამონაგები	65,462,902	54,692,771

16. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საბითუმო	28,937,918	27,026,624
გაყიდული საქონლის თვითღირებულება-საცალო	24,099,581	19,906,254
სარეკლამო პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერა	40,622	1,767
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	53,078,121	46,934,645

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შრომის ანაზღაურების ხარჯი	6,487,390	5,246,340
იჯარის ხარჯი	4,468,164	3,548,562
საგადასახადო ხარჯი	722,847	455,998
ცვეთა და ამორტიზაცია	687,521	525,213
კომუნალური ხარჯი	359,308	288,546
საბანკო ხარჯი	220,946	152,546
სადაზღვევო ხარჯი	144,374	125,726
შეფუთვის ხარჯი	121,308	94,736
რემონტის ხარჯი	157,545	128,505
საკომუნიკაციო ხარჯი	99,250	95,042
მივლინების ხარჯი	71,581	6,682
საკანცელარიო ხარჯი	64,499	35,548
კომუნიკაციის ხარჯი	65,216	60,322
წარმომადგენლობითი ხარჯი	39,380	19,729
საკონსულტაციო ხარჯი	43,401	38,336
დაცვის ხარჯი	33,683	27,479
დაზღვევის ხარჯი	5,743	60,353
სხვა ხარჯი	227,767	125,612
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14,019,923	11,035,275

18. არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

	2022	2021
ფასდაკლებები და ვალის პატიება	1,367,607	3,147,767
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	407,254	286,699
ნაჩუქარი ქონება და სხვა სარგებელი	43,582	20,176
ინვესტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა	11,724	6,006
სხვა შემოსავალი	7,121	1,936
სულ არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა	1,837,288	3,462,584

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

* მიღებული კრედიტ ნოტები, წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე მიღებულ ფასდაკლებებს, რომელიც ჯგუფმა არასაოპერაციო შემოსავალში ასახა.

19. არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა

	2022	2021
*საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	762,773	304,327
*ვადაგასული მარაგების ჩამოწერა	306,994	-
გაცემული კრედიტ ნოტები	232,707	196,399
საგადასახადო ჯარიმები	57,654	28,592
სხვა ხარჯები	61,530	75,699
სულ არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	1,421,658	605,017

*ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. იხილეთ 8-ე შენიშვნა.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჯამურად ჩამოწერა 306,994 ლარის ღირებულების ვადაგასული მარაგები (2021: 0). იხილეთ 7-ე შენიშვნა.

20. მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2022	2021
მიღებული სესხები	1,335,797	1,087,914
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,058,789	440,752
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(323,473)	(151,786)
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,053	(12,735)
გაცემული სესხები	(792,698)	(325,415)
საპროცენტო მოთხოვნა	(129,333)	(38,040)
საპროცენტო ვალდებულება	51,687	7,530
მოგება საკურსო სხვაობიდან, წმინდა	1,225,822	1,008,220

21. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს),
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,414,094	6,958,815
ფული და ფულის ეკვივალენტები	390,434	271,609
გაცემული სესხები	6,504,513	6,066,991
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	15,309,041	13,297,415

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი 2022	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,413	-	1,413
სავაჭრო მოთხოვნები	1,206,743	-	1,206,743
გაცემული სესხები	2,405,982	-	2,405,982
სულ ფინანსური აქტივები	3,614,138	-	3,614,138
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,483,267	2,600,000	5,083,267
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,853,883	65,788	2,919,671
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,337,150	2,665,788	8,002,938
წმინდა პოზიცია	8,951,288	2,665,788	11,617,076
გავლენა მოგება-ზარალზე			
ვალუტის კურსის 20% ზრდა	1,790,258	533,158	2,323,415
ვალუტის კურსის 20% შემცირება	(1,790,258)	(533,158)	(2,323,415)

31 დეკემბერი 2021	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,472	-	1,472
სავაჭრო მოთხოვნები	1,122,412	51,000	1,173,412
გაცემული სესხები	2,056,343	-	2,056,343
სულ ფინანსური აქტივები	3,180,227	51,000	3,231,227
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,171,332	1,087,145	3,258,477
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,620,665	47,329	2,667,994
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,791,997	1,134,474	5,926,471
წმინდა პოზიცია	7,972,224	1,185,474	9,157,698
გავლენა მოგება-ზარალზე			
ვალუტის კურსის 20% ზრდა	1,594,445	237,095	1,831,540
ვალუტის კურსის 20% შემცირება	(1,594,445)	(237,095)	(1,831,540)

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

21. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	390,434	-	-	390,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,414,094	-	-	8,414,094
გაყვანილი სესხები	6,504,513	-	-	6,504,513
სულ ფინანსური აქტივები	15,309,041	-	-	15,309,041
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,114,172	-	-	36,114,172
მიღებული სესხები	3,843,293	13,737,711	-	17,581,004
სულ ფინანსური ვალდებულებები	39,957,465	13,737,711	-	53,695,176
სხვაობა	(24,648,424)	(13,737,711)	-	(38,386,135)

31 დეკემბერი 2021	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	271,609	-	-	271,609
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,958,815	-	-	6,958,815
გაყვანილი სესხები	6,066,991	-	-	6,066,991
სულ ფინანსური აქტივები	13,297,415	-	-	13,297,415
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,325,229	-	-	27,325,229
მიღებული სესხები	3,566,569	9,297,026	-	12,863,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	30,891,798	9,297,026	-	40,188,824
სხვაობა	(17,594,383)	(9,297,026)	-	(26,891,409)

შპს „ფარმაცევტული სახლი +“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა ფმა-ში
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	8,414,094	4,741	6,958,815
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	583,186	36,114,172	489,230	27,325,229
მიღებული სესხები	3,661,997	17,581,004	2,159,334	12,863,595
გაცემული სესხები	6,483,850	6,504,513	6,066,658	6,066,991

მოგება ზარალის მუხლი	2022		2021	
	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა მოგება-ზარალის მუხლში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბ. მუხლის მთლ. თანხა მოგება-ზარალის მუხლში
ამონაგები	26,179	65,462,902	102,469	54,692,771
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	59,000	(14,019,923)	11,280	(11,035,275)
საპროცენტო ხარჯი	396,478	(1,451,352)	222,440	(1,379,051)
არასაოპერაციო მოგება	408,961	1,837,288	286,695	3,462,584

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2022	2021
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	1,475,671	1,670,143

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 დეკემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა ჯამურად აიღო 14,478,974 ლარის სესხი, და დაფარა 12,585,871 ლარის სასესხო ვალდებულება.
- ჯგუფმა 2023 წლის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 14 ახალი სააფთიაქო ქსელი გახსნა.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს “ ფარმაცევტული სახლი +” და მისი შვილობილი კომპანია

2022 წლის მმართველობის ანგარიშგება



სარჩევი:

2022 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა	2
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
3. ბაზარი და სუბიექტის პოზიცია ბაზარზე	3
4. რისკების მართვა.....	3
5. სამომავლო გეგმები	4

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

ფარმაცევტული სახლი+ არის ფარმაცევტული კომპანია, რომელიც დაარსდა 2007 წელს. მისი საქმიანობის სფეროა ფარმაცევტული პროდუქტებითა და ჰიგიენური მოვლის საშუალებებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ვფლობთ 52 ფილიალს და საშუალოდ დასაქმებული გვყავს 600 ადამიანი. ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროა სააფთიაქო სფერო, თუმცა ასევე წარმოვადგენთ მსოფლიოში ცნობილი ბრენდების დისტრიბუტორს საქართველოში.

ბიზნეს მოდელი

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევქმნათ მომხმარებლებზე ორიენტირებული ბიზნესი. ჩვენი ფართო ასორტიმენტი საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ როგორც დაბალ ბიუჯეტისანი მომხმარებლები, ასევე, ჩვენს ფილიალებში მათ შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ მაღალხარისხიანი კოსმეტიკა და თავის მოვლის პროდუქცია. ფილიალები განთავსებულია საუკეთესო ლოკაციებზე თბილისისა და რუსთავის მასშტაბით. პროდუქცია განთავსებულია ღია თაროებზე. ჩვენი მიზანია შევქმნათ აფთიაქი, რომელიც ასოცირებული იქნება სახლთან, სადაც ყველას ენდობი და მუდამ შენზე ზრუნავენ.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია მივაწოდოთ მომხმარებელს ფარმაცევტული და პარაფარმაცეული პროდუქცია საუკეთესო ფასებით და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებით, სასიამოვნო გარემოში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურით თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

შვილობილი კომპანია

შპს „ფარმაცევტული სახლი+“-ის შვილობილ საწარმოს წარმოადგენს შპს „ბიუთი ჰაბი“. ფარმაცევტული სახლი+ შპს „ბიუთი ჰაბი“-ში ფლობს 70%-იან წილს.

შვილობილი საწარმო ეწევა კოსმეტიკური საშუალებების, კერძოდ ეველაინის ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქციის, იმპორტს პოლონეთიდან და მის დისტრიბუციას საქართველოში. ის გაყიდვებს ახორციელებს რამოდენიმე მსხვილი ქსელური ორგანიზაციის და ასევე პატარა მაღაზიებისა და აფთიაქების საშუალებით.

ვეელაინის ბრენდი საკმაოდ ცნობილია ევროპის ბევრ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ის მხოლოდ რამოდენიმე წელია იყიდება, ამ პერიოდში მას უკვე ბევრი ერთგული მომხმარებელი ჰყავს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

წარმოგიდგენთ ჯგუფის კონსოლიდირებული საქმიანობის ანალიზს მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტების საშუალებით:

ფარმ სახლი კონსოლიდირებული	2022	2021
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.26	1.28
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	0.65	0.68
კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი	1.27	1.38
საერთო მოგების მარჟა	17.85%	13.11%
წმინდა მოგების მარჟა	-3.58%	-2.73%

3. ბაზარი და სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

ფარმაცევტული საქმიანობა და სააფთიაქო ბაზარი ძალიან სპეციფიკურ სფეროა. ეს საქმიანობა საქართველოში კანონით რეგულირებულია. მკაცრად რეგულირდება წამლის რეგისტრაცია, მისი იმპორტი და სხვა საქმიანობა. ფარმაცევტულ ბაზარს სახელმწიფო ორი მიმართულებით უწევს ზედამხედველობას: ბაზარზე კონკურენციის დაცვა და პროდუქციის უსაფრთხოებისა და ეფექტური მიწოდების ნორმების დაცვა. მიუხედავად ამისა, ბაზარი კონკურენტულად განვითარებულია. ყველას აქვს ბაზარზე შესვლისა და განვითარების შესაძლებლობა.

4. რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. ჯგუფის რისკების მართვის პროცესები მოწმდება შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ხელმძღვანელობასთან ყველა შედეგებსა და ანგარიშებს და გასცემს რეკომენდაციებს.

5. სამომავლო გეგმები

ჯგუფი დინამიურად ვითარდება. ჩვენი მიზანია გავზარდოთ საცალო მომსახურების ქსელი. ვგეგმავთ ფილიალების გახსნას რეგიონებში, რითიც შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ მომსახურების არეალი. საცალო მომსახურების ქსელის გაზრდის შემდგომ დავიწყებთ სტრატეგიული მარკეტინგის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. ჩვენი მიზანია არ არის მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჯგუფი მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. გვაქვს მოლაპარაკებები მსოფლიოში ცნობილ კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებების მომწოდებლებთან. ვგეგმავთ მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დაწყებას და ასევე ახალი პროდუქტების მოძიებას.

ჩვენ მუდმუვად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ცხოვრება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის საჭიროა მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვახორციელოთ ისინი.

მპს „ფარმაცევტული სახლი+“

დირექტორი: იონა ქობულაია -----

შპს “ ფარმაცევტული სახლი +” და მისი შვილობილი კომპანია

2022 წლის მმართველობის ანგარიშგება



სარჩევი:

2022 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა	2
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
3. ბაზარი და სუბიექტის პოზიცია ბაზარზე.....	3
4. რისკების მართვა.....	3
5. სამომავლო გეგმები.....	4

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

ფარმაცევტული სახლი+ არის ფარმაცევტული კომპანია, რომელიც დაარსდა 2007 წელს. მისი საქმიანობის სფეროა ფარმაცევტული პროდუქტებითა და ჰიგიენური მოვლის საშუალებებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ვფლობთ 52 ფილიალს და საშუალოდ დასაქმებული გვყავს 600 ადამიანი. ჩვენი საქმიანობის ძირითადი სფეროა სააფთიაქო სფერო, თუმცა ასევე წარმოვადგენთ მსოფლიოში ცნობილი ბრენდების დისტრიბუტორს საქართველოში.

ბიზნეს მოდელი

ჩვენთვის მნიშვნელოვანია შევქმნათ მომხმარებლებზე ორიენტირებული ბიზნესი. ჩვენი ფართო ასორტიმენტი საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ როგორც დაბალ ბიუჯეტისანი მომხმარებლები, ასევე, ჩვენს ფილიალებში მათ შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ მაღალხარისხიანი კოსმეტიკა და თავის მოვლის პროდუქცია. ფილიალები განთავსებულია საუკეთესო ლოკაციებზე თბილისისა და რუსთავის მასშტაბით. პროდუქცია განთავსებულია ღია თაროებზე. ჩვენი მიზანია შევქმნათ აფთიაქი, რომელიც ასოცირებული იქნება სახლთან, სადაც ყველას ენდობი და მუდამ შენზე ზრუნავენ.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია მივაწოდოთ მომხმარებელს ფარმაცევტული და პარაფარმაციული პროდუქცია საუკეთესო ფასებით და მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებით, სასიამოვნო გარემოში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურით თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნით ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

შვილობილი კომპანია

შპს „ფარმაცევტული სახლი+-ის შვილობილ საწარმოს წარმოადგენს შპს „ბიუთი ჰაბი“. ფარმაცევტული სახლი+ შპს „ბიუთი ჰაბი“-ში ფლობს 70%-იან წილს.

შვილობილი საწარმო ეწევა კოსმეტიკური საშუალებების, კერძოდ ეველაინის ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქციის, იმპორტს პოლონეთიდან და მის დისტრიბუციას საქართველოში. ის გაყიდვებს ახორციელებს რამოდენიმე მსხვილი ქსელური ორგანიზაციის და ასევე პატარა მაღაზიებისა და აფთიაქების საშუალებით.

ველანის ბრენდი საკმაოდ ცნობილია ევროპის ბევრ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ის მხოლოდ რამოდენიმე წელია იყიდება, ამ პერიოდში მას უკვე ბევრი ერთგული მომხმარებელი ჰყავს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

წარმოგიდგენთ ჯგუფის კონსოლიდირებული საქმიანობის ანალიზს მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტების საშუალებით:

ფარმ სახლი კონსოლიდირებული	2022	2021
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.26	1.28
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	0.65	0.68
კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი	1.27	1.38
საერთო მოგების მარჟა	17.85%	13.11%
წმინდა მოგების მარჟა	-3.58%	-2.73%

3. ბაზარი და სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

ფარმაცევტული საქმიანობა და სააფთიაქო ბაზარი ძალიან სპეციფიკურ სფეროა. ეს საქმიანობა საქართველოში კანონით რეგულირებულია. მკაცრად რეგულირდება წამლის რეგისტრაცია, მისი იმპორტი და სხვა საქმიანობა. ფარმაცევტულ ბაზარს სახელმწიფო ორი მიმართულებით უწევს ზედამხედველობას: ბაზარზე კონკურენციის დაცვა და პროდუქციის უსაფრთხოებისა და ეფექტური მიწოდების ნორმების დაცვა. მიუხედავად ამისა, ბაზარი კონკურენტულად განვითარებულია. ყველას აქვს ბაზარზე შესვლისა და განვითარების შესაძლებლობა.

4. რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამოჩენასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: საბაზრო ცვლელადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. ჯგუფის რისკების მართვის პროცესები მოწმდება შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ხელმძღვანელობასთან ყველა შედეგებსა და ანგარიშებს და გასცემს რეკომენდაციებს.

5. სამომავლო გეგმები

ჯგუფი დინამიურად ვითარდება. ჩვენი მიზანია გავზარდოთ საცალო მომსახურების ქსელი. ვგეგმავთ ფილიალების გახსნას რეგიონებში, რითიც შესაძლებლობა გვაქვს მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ მომსახურების არეალი. საცალო მომსახურების ქსელის გაზრდის შემდგომ დავიწყებთ სტრატეგიული მარკეტინგის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, გაყიდვების სტიმულირება და სხვა. ჩვენი მიზანია არ არის მხოლოდ ახალი მომხმარებლების მოზიდვა, არამედ არსებული კლიენტების კმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

ჯგუფი მუდმივად ცდილობს ასორტიმენტის გაზრდას და გაუმჯობესებას. გვაქვს მოლაპარაკებები მსოფლიოში ცნობილ კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებების მომწოდებლებთან. ვგეგმავთ მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობის დაწყებას და ასევე ახალი პროდუქტების მოძიებას.

ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ რა ღირებულება შევუქმნათ მომხმარებლებს და როგორ გავუმარტივოთ მათ ცხოვრება ახალი პროდუქციისა თუ მომსახურების შეთავაზებით. ამისათვის საჭიროა მოვიძიოთ ბაზრისათვის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და ღირებული პროდუქტები და მუდმივად განვახორციელოთ ისინი.

შპს „ფარმაცევტული სახლი+“

დირექტორი: იონა ქობულა